მივლინების ანგარიში

მივლინების მიზანი: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ორგანიზებულ მეორე რეგიონალურ კონფერენციაში თემაზე „ეროვნული პარლამენტების როლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებს იმპლემენტაციაში“ მონაწილეობის მიღება.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაში მონაწილეობის მიღება.

დელეგაციის წევრები: ეკა ბესელია - საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები- გედევან ფოფხაძე, გიორგი კახიანი, ლევან გოგიჩაიშვილი და გიორგი ხატიძე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის წევრი- ლიანა ლატარია.

მივლინების ადგილი: ბუდაპეშტი, უნგრეთი

მივლინების თარიღი: 2017 წლის 12-13 ივნისი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დელეგაციამ ეკა ბესელიას ხელმძღვანელობით 2017 წლის 12-13 ივნისს მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ მეორე რეგიონალურ კონფერენციაში, რომლის თემა იყო „ეროვნული პარლამენტების როლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების იმპლემენტაცია“. კონფერენციაში ასევე მონაწილეობას იღებდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პარლამენტების წევრები მოლდოვიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან და ასევე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრები ევროპის საბჭოს სხვა ქვეყნებიდან და დამოუკიდებელი ექსპერტები.

კონფერენციის პირველი დღე დაეთმო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიმოხილვას. სესია გახსნეს ბ-ნ ლევენტე ბენკომ, სახელმწიფო მდივნის მოადგილემ საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების საკითხებში და ბ-ნ ბორის სილევიჩმა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის კომიტეტის თავმჯდომარემ. განხილვის თემები იყო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მინისტრთა კომიტეტის მირ სტრასბურგის გადაწყვეტილებების ზედამხედველობა და საპარლამენტო ასამბლეის როლთან დაკავშირებული საკითხები. მოხსენებები წარადგინეს ბ-ნ პიტერ ლაურენტმა, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ყოფილი მოადგილე, ქ-ნ ტატიანა სვეშნიკოვამ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგისტრატურის წარმომადგენელი, და ბ-ნ ალფონსო დე სალასმა, ადამიანის უფლებათა ევროპის მუდმივმოქმედი კომიტეტის მდივანი. სესიის ფასილიტატორი გახლდათ ბ-ნ ანდრიუ დჟემჟევსკი, მიდსექსის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიწვეული ლექტორი(ლონდონი).

მეორე დღეს ბ-ნ ანდრიუ დჟემჟევსკიმ გააკეთა მოკლე მოხსენება წევრ ქვეყნებში მდგომარეობის შესახებ. ასევე ქ-ნ ეკა ბესელიას ხელმძღვანელობით გაიმართა პანელური დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კლას დე ვრიესმა, ყოფილი სენატორი და საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი მომხსენებელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების იმპლემენტაციაზე და ბ-ნ ბორის სილევიჩმა.

კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ზედამხედველობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ უხელმძღვანელა სესიას თემაზე: „კანონპროექტების თავსებადობა ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სტანდარტებთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება". ეკა ბესელია ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში საქართველოს პარლამენტის საზედამხედველო როლთან დაკავშირებით მოხსენებით გამოვიდა, გამართა პრეზენტაცია თემაზე „საქართველოს პარლამენტის საზედამხედველო როლი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების საქმეში" და ღონისძიების მონაწილეებს გააცნო საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული რეფორმა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებისა და აღსრულების ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმების ჩამოყალიბების საკითხებს შეეხებოდა. ეკა ბესელიამ აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს, მისი ინიციატივით, როდესაც იგი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს ხელმძღვანელობდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებისა და აღსრულების ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმების საკითხებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა. მისივე თქმით, საქართველოს მიერ 2013 წლიდან გატარებული სისტემური რეფორმების მიზნები იყო: სწრაფი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, კანონის უზენაესობის პრინციპის განმტკიცება და ადამიანის უფლებების დაცვა. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, 2013 წლიდან, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა მთავარ პრიორიტეტად გამოცხადდა და შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის 7-წლიანი ეროვნული სტრატეგია, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. ასევე დაინერგა ახალი საპარლამენტო კონტროლის ფორმატები. კონფერენციის მონაწილეების მიერ აღიარებულ იქნა, რომ რეფორმების შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინებით საქართველო წარმატებული მაგალითია. ეკა ბესელიამ აღნიშნა, რომ გაიზარდა პარლამენტის საზედამხედველო ფუნქცია, პარლამენტში შეიქმნა საკომიტეტო მოსმენების სპეციალური ფორმატები, ხოლო 2016 წელს პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებები, რომელიც საზედამხედველო როლის გაზრდას ეხება, ვესტმინსტერის დემოკრატიული განვითარების ფონდისა ა ბრიტანელი ექსპერტების რეკომენდაციით მომზადდა.

ეკა ბესელიამ მონაწილეებს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ახალი, 2017- 2018 წლის სამოქმედო გეგმა გააცნო, რომელიც ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებით ცალკე თავს მოიცავს. ქართველმა დეპუტატმა დეტალურად ისაუბრა საქართველოს პარლამენტში შეტანილ ცვლილებებზე, რომელიც შეეხება გაეროს საზედამხედველო ორგანოების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების და განჩინებების აღსრულებაზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებას. ეკა ბესელიამ ღონისძიების მონაწილეებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების სტატისტიკაც გააცნო და აღნიშნა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადება, რომ გადაწყვეტილებათა იმპლემენტაციის მხრივ საქართველომ პროგრესი აჩვენა- მრგვალი მაგიდის, იურიდიული ექსპერტების, ანალიზის, შეხედულებების გაზიარების და სასწავლო პროგრამების დანერგვის მეშვეობით. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტი გეგმავს დანერგოს კარგი პრაქტიკა და გააძლიეროს საპარლამენტო კონტროლი.

ღონისძიების მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების იმპლემენტაციის პროცესში ეროვნული პარლამენტების როლის შესახებ მოხსენებები. გამოსვლების შემდგომ გაიმართა დისკუსია დელეგაციის წევრებს შორის.

მოხსენებების შემდეგ გამართულ დისკუსიებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებმა: გიორგი ხატიძემ, გედევან ფოფხაძემ, გიორგი კახიანმა, ლევან გოგიჩაიშვილმა და კომიტეტის აპარატის წევრმა, ლიანა ლატარიამ.

სესიის ბოლო, მე-3 ნაწილი დაეთმო საბოლოო კომენტარებს ბ-ნ ანდრიუ დჟემჟევსკის და ბ-ნ პეტერ ლაურეხტის მონაწილეობით, საპარლამენტო ასამბლეის საპარლამენტო პროექტების მხარდაჭერის განყოფილების სამდივნოს უფროსის ბ-ნ გეზა მეცეის მიერ შემდეგი აქტივობების პრეზენტაციას და დასრულდა ბ-ნ პეტერ პაურეხტის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი შენიშვნებით.

პატივისცემით
ლიანა ლატარია

დელეგაციის მდივანი,
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის უფროსი სპეციალისტი